

ბრძანება №01-31/6

2014 წლის 19 მაისი

ქ. თბილისი

„დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში ფულადი დახმარების დანიშვნის, შეჩერების, განახლებისა და შეწყვეტის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ

„დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 31 მარტის №262 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის და „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 14 სექტემბრის №473 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2019 წლის 11 თებერვლის ბრძანება №01-12/6 - ვებგვერდი, 12.02.2019წ.

მუხლი 1

დამტკიცდეს „დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში ფულადი დახმარების დანიშვნის, შეჩერების, განახლებისა და შეწყვეტის წესი და პირობები“ დანართი №1-ის შესაბამისად.

მუხლი 2

ბრძანება ამოქმედდეს 2014 წლის 1 ივნისიდან.

საქართველოს შრომის,
ჯანმრთელობისა და სოციალური
დაცვის მინისტრი

დავით სერგენკო

დანართი №1

„დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში ფულადი დახმარების დანიშვნის, შეჩერების, განახლებისა და შეწყვეტის წესი და პირობები

მუხლი 1. რეგულირების სფერო

„დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში ფულადი დახმარების დანიშვნის, შეჩერების, განახლებისა და შეწყვეტის წესი და პირობები“ (შემდგომში - წესი) განსაზღვრავს ფულადი დახმარების დანიშვნის, შეჩერების, განახლებისა და შეწყვეტის წესსა და პირობებს.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

1. ამ წესში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) მაძიებელი – პირი, ფულადი დახმარების დანიშვნის თაობაზე განცხადების წარდგენის მომენტიდან ფულადი დახმარების დანიშვნამდე;

ბ) უფლებამოსილი პირი – საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ – სოციალური მომ-სახურების სააგენტოს (შემდგომში – სააგენტო) სპეციალური უფლებამოსილებით აღჭურვილი პირი, რომელიც ახორციელებს ოჯახის ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილის გადამოწმებას.



2. ამ წესში გამოყენებულ სხვა ტერმინებს გააჩნია იგივე მნიშვნელობა, რაც „დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 31 მარტის N262 დადგენილებით დამტკიცებულ წესში (შემდგომში - დადგენილება), თუ ამ წესით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2019 წლის 11 თებერვლის ბრძანება №01-12/5 - ვებგვერდი, 12.02.2019წ.

მუხლი 3. ადმინისტრირების ორგანო

ამ წესით განსაზღვრული ფულადი დახმარების ადმინისტრირების ორგანოა სააგენტო, რომელიც ამ წესითა და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად უზრუნველყოფს ფულადი დახმარების დანიშვნის, შეჩერების, შეწყვეტის, განახლების, გადაანგარიშებისა და გაცემის ორგანიზებას.

მუხლი 4. ფულადი დახმარება

ამ წესის მიზნებისთვის ფულადი დახმარება არის ყოველთვიური გასაცემელი, რომლის ოდენობა და დაფინანსების საკითხები განისაზღვრება დადგენილებით.

მუხლი 5. ფულადი დახმარების მიღების უფლება

1. დადგენილებით განსაზღვრული პირობების გარდა, მამიებელი/ბენეფიციარი უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე და:

ა) 2014 წლის 1 ივნისიდან დაბადებული ბავშვი (ტყუპით მშობიარობის შემთხვევაში – ბავშვები), რომელიც ფაქტობრივად ცხოვრობს ბიოლოგიური დედის/ოჯახის ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით;

ბ) 2016 წლის 1 იანვრიდან დაბადებული ბავშვი, რომლის ერთ-ერთი მშობელი მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირია.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში ფულადი დახმარების მიღებაზე უფლება ენიჭება ბავშვთან ფაქტობრივად მცხოვრებ ბიოლოგიურ დედას/ბავშვთან ფაქტობრივად მცხოვრებ ბიოლოგიურ მამას/ბავშვთან ფაქტობრივად მცხოვრებ სხვა კანონიერ წარმომადგენელს.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში ფულადი დახმარების მიღებაზე უფლება ენიჭება მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრებ ერთ-ერთ მშობელს, ფულადი დახმარების დანიშვნის თაობაზე სააგენტოსთვის მიმართვის შემთხვევაში, გარდა ამ წესის მე-8 მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.

4. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ბენეფიციარს ენიშნება ყოველთვიური ფულადი დახმარება მაღალმთიან რეგიონში ფაქტობრივად მცხოვრებთათვის – 200 ლარის ოდენობით, ხოლო სხვა დასახლებაში ფაქტობრივად მცხოვრებთათვის – 150 ლარის ოდენობით (მეორე და მესამე ტყუპების შემთხვევაში – ერთ-ერთი ტყუპისცალი).

5. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ბენეფიციარს ენიშნება ყოველთვიური ფულადი დახმარება 100 ლარის ოდენობით ერთი წლის განმავლობაში, თუ ბენეფიციარი პირველი ან მეორე შვილია და 200 ლარის ოდენობით 2 წლის განმავლობაში, თუ ბენეფიციარი მე-3 ან მომდევნო შვილია (მეორე და მესამე ტყუპის შემთხვევაში ერთ-ერთ ტყუპისცალს ენიშნება 100 ლარის ოდენობით ერთი წლის განმავლობაში, ხოლო მეორეს – 200 ლარის ოდენობით 2 წლის განმავლობაში).

6. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში ფულადი დახმარების მიღებაზე უფლება არ წარმოიშობა ან წარმოშობილი უფლება წყდება, თუ ბენეფიციარი იმყოფება „სპეციალიზებულ დაწესებულებაში პირის მოთავსებისა და ამ დაწესებულებიდან მისი გაყვანის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2010 წლის 26 თებერვლის N52/5 ბრძანებით განსაზღვრულ სპეციალიზებულ დაწესებულებაში.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2014 წლის 17 ივლისის ბრძანება №01-51/5 - ვებგვერდი, 18.07.2014წ.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2016 წლის 8 თებერვლის ბრძანება №01-6/5 - ვებგვერდი, 09.02.2016წ.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2019 წლის 11



მუხლი 6. ფულადი დახმარების დასანიშნად მიმართვა

1. ფულადი დახმარების დანიშვნის თაობაზე განცხადება წარედგინება სააგენტოს შესაბამის ტერიტორიულ ერთეულს ახლად დაბადებული ბავშვის ბიოლოგიური დედის/ოჯახის ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

2. განცხადებას თან უნდა დაერთოს შემდეგი დოკუმენტები:

ა) ბავშვის/ბავშვების მშობლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტები (საჭიროების შემთხვევაში – საქართველოში მუდმივი ბინადრობის მოწმობა);

ბ) კანონიერი წარმომადგენლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი და კანონიერი წარმომადგენლობის დამადასტურებელი დოკუმენტი, თუ მიმართვას ახორციელებს მშობლების გარდა სხვა კანონიერი წარმომადგენელი;

გ) მამიებლისა და სხვა შვილების დაბადების მოწმობები;

დ) მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი (საჭიროების შემთხვევაში);

ე) სხვა დოკუმენტი, რომელიც საჭიროა სოციალური დახმარების უფლებრივი საკითხის გასარკვევად (საჭიროების შემთხვევაში).

3. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ განცხადებაში მითითებული ინფორმაციის სისწორესა და სხვა მოთხოვნილი საბუთების ნამდვილობაზე პასუხისმგებლობა ეკისრება პირს, რომელიც განცხადებით მიმართავს სააგენტოს.

3¹. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული განცხადებით (პირველადი/განმეორებითი) მიმართვის დროს პროგრამაში მონაწილეობა შესაძლებელია იმ შემთხვევაშიც, თუ მიმართვის თარიღის მდგომარეობით, რეგიონი კანონმდებლობის შესაბამისად აღარ მონაწილეობს პროგრამაში, მაგრამ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, ბავშვის (ბავშვების) დაბადების წლის წინა მე-2 ან მე-3 წელში წლიური ბუნებრივი მატების საშუალო დადებითი მაჩვენებელი არ ფიქსირდება ან ეს მაჩვენებელი არ აღემატება 200-ს და ბენეფიციარი აკმაყოფილებს დახმარების დანიშვნის პირობებს.

4. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტების ორიგინალები უბრუნდება განმცხადებელს, ხოლო ასლები ინახება სააგენტოს შესაბამის ტერიტორიულ ერთეულში.

5. ამ წესით განსაზღვრული ფულადი დახმარების ადმინისტრირებისათვის აუცილებელი ფორმები და შესაბამისი რეესტრის ფორმირების წესი მტკიცდება სააგენტოს ბრძანებით.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2014 წლის 17 ივლისის ბრძანება №01-51/5 - ვებგვერდი, 18.07.2014წ.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2016 წლის 8 თებერვლის ბრძანება №01-6/5 - ვებგვერდი, 09.02.2016წ.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2019 წლის 11 თებერვლის ბრძანება №01-12/5 - ვებგვერდი, 12.02.2019წ.

მუხლი 7. გადაწყვეტილება ფულადი დახმარების დანიშვნის თაობაზე

1. ფულადი დახმარების დანიშვნის თაობაზე განცხადებას სააგენტო იხილავს და გადაწყვეტილებას ფულადი დახმარების დანიშვნის/არდანიშვნის თაობაზე იღებს განცხადებისა და ყველა საჭირო დოკუმენტის წარდგენიდან არა უგვიანეს 3 სამუშაო დღის ვადაში.

2. თუ განცხადებას თან ახლავს ყველა საჭირო დოკუმენტი და მამიებელი აკმაყოფილებს ფულადი დახმარების დანიშვნის პირობებს, სააგენტოს მიერ მიიღება გადაწყვეტილება ფულადი დახმარების დანიშვნის თაობაზე, სხვა შემთხვევაში მიიღება გადაწყვეტილება ფულადი დახმარების არდანიშვნის თაობაზე.

3. ფულადი დახმარება ინიშნება განცხადებისა და ყველა საჭირო დოკუმენტის წარდგენის მომდევნო თვის



მუხლი 8. ფულადი დახმარების გაცემა

1. ფულადი დახმარება გაიცემა საქართველოს ტერიტორიაზე, სოციალური დახმარების სახით, საბანკო დაწესებულების საშუალებით.
2. საბანკო დაწესებულების საშუალებით ფულადი დახმარების გაცემის პირობები განისაზღვრება მომსახურების ხელშეკრულების შესაბამისად.
3. ფულადი დახმარების თანხის ჩარიცხვა ხორციელდება იმ პირის ანგარიშზე, ვისი მონაცემებიც მითითებული იქნება ამ წესის მე-6 მუხლით განსაზღვრული განცხადების შევსებისას.
4. ბენეფიციარის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს უფლება აქვს, მოითხოვოს ბენეფიციარისთვის დანიშნული ფულადი დახმარების გაცემა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, მისი რეგისტრაციის ადგილის მიუხედავად. მიმდინარე თვის ფულადი დახმარების გაცემა წარმოებს იმავე თვეში.
5. ამ წესის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, თუ ბავშვის ბიოლოგიური დედა არასრულწლოვანია თანხის ჩარიცხვა ხორციელდება სხვა კანონიერი წარმომადგენლის ანგარიშზე.
6. ამ წესის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შემთხვევაში თუ ბავშვის ბიოლოგიური დედა არასრულწლოვანია, არ ჰყავს კანონიერი წარმომადგენელი, მის მიმართ წარმოშობილია მზრუნველობის დაწესების სამართლებრივი საფუძვლები და დახმარების მიღების უფლება, მისთვის მზრუნველის დანიშვნამდე, სააგენტო მომსახურე საბანკო დაწესებულებაში ამ პირის სახელზე ხსნის საანაბრე (სადეპოზიტო) ანგარიშს, რომელზეც ყოველთვიურად ირიცხება დახმარების თანხა.
7. ამ წესის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, თუ ბავშვის ბიოლოგიური დედა არასრულწლოვანია, თანხის ჩარიცხვა ხორციელდება სხვა კანონიერი წარმომადგენლის ანგარიშზე მიუხედავად იმისა, ფლობს თუ არა კანონიერი წარმომადგენელი მალაღმთიან დასახლებაში მცხოვრები პირის სტატუსს.
8. ამ წესის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შემთხვევაში თუ ბავშვის ბიოლოგიური დედა არასრულწლოვანია, არ ჰყავს კანონიერი წარმომადგენელი, მის მიმართ წარმოშობილია მზრუნველობის დაწესების სამართლებრივი საფუძვლები და დახმარების მიღების უფლება, მისთვის მზრუნველის დანიშვნამდე, სააგენტო მომსახურე საბანკო დაწესებულებაში ამ პირის სახელზე ხსნის საანაბრე (სადეპოზიტო) ანგარიშს, რომელზეც ყოველთვიურად ირიცხება დახმარების თანხა.
9. ამ მუხლის მე-6 და მე-8 პუნქტებით გათვალისწინებული პირის საანაბრე (სადეპოზიტო) ანგარიშზე ჩარიცხული თანხის (ძირითადი თანხა და პროცენტი) განკარგვა შესაძლებელია, მხოლოდ პირის სრულწლოვანების მიღწევის შემდეგ, ან სრულწლოვანების მიღწევამდე – მეურვეობისა და მზრუნველობის რეგიონული საბჭოს გადაწყვეტილებით.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2019 წლის 11 თებერვლის ბრძანება №01-12/5 - ვებგვერდი, 12.02.2019წ.

მუხლი 9. ფულადი დახმარების შეჩერება და განახლება

1. ფულადი დახმარების შეჩერება ხორციელდება, თუ არსებობს ინფორმაცია ბენეფიციარის მხრიდან ამ დახმარების მიღების უფლების არასწორად მოპოვების ან დარღვევის შესახებ.
2. ფულადი დახმარების შეჩერება ხორციელდება ინფორმაციის მიღების თვეში ფულადი დახმარების გადარიცხვამდე, ხოლო თუ ფულადი დახმარება გადარიცხულია - მომდევნო თვის 1 რიცხვიდან.
3. შეჩერების საფუძვლის აღმოფხვრის შემთხვევაში, ფულადი დახმარება განახლდება მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან და ანაზღაურდება გასული პერიოდის მიუღებელი თანხა.
4. იმ შემთხვევაში, თუ შეჩერების საფუძველი იყო მისამართის ცვლილება (მალაღმთიანი რეგიონიდან სხვა დასახლებაში გადასვლა ან პირიქით), შეჩერებული თვის თანხის ანაზღაურება განხორციელდება ბოლო საცხოვრებელი მისამართის შესაბამისად.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2016 წლის 8 თებერვლის ბრძანება №01-6/5 - ვებგვერდი, 09.02.2016წ.

მუხლი 10. ფულადი დახმარების გადაანგარიშება



1. ფულადი დახმარების ოდენობა გადაანგარიშებას ექვემდებარება, თუ:

ა) შეიცვალა კანონმდებლობით გათვალისწინებული ფულადი დახმარების ოდენობები;

ბ) ბენეფიციარმა შეიცვალა საცხოვრებელი ადგილი (მაღალმთიანი რეგიონიდან გადავიდა სხვა დასახლებაში ან პირიქით) და ახალი მისამართი აკმაყოფილებს დახმარების მიღების პირობებს;

გ) 2016 წლის 1 იანვრიდან დაბადებული ბავშვის/ბავშვების შემთხვევაში, ბენეფიციარ(ებ)ის ერთ-ერთმა მშობელმა მოიპოვა მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსი.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შემთხვევაში გადაანგარიშება განხორციელდება ავტომატურად, შესაბამისი დოკუმენტის ძალაში შესვლის ვადიდან, ხოლო ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტების შემთხვევაში, მოქალაქის მიერ განცხადებით მომართვის მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2016 წლის 8 თებერვლის ბრძანება №01-6/ნ - ვებგვერდი, 09.02.2016წ.

მუხლი 11. ფულადი დახმარების შეწყვეტა

1. ფულადი დახმარება შეწყდება ქვემოთ ჩამოთვლილი საფუძვლის (შესაბამისი წყაროს მითითებით) წარმოშობის მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან, თუ ამ პუნქტით სხვა რამ არ არის განსაზღვრული:

ა) განცხადებით მიმართვისას – განცხადება;

ბ) ბენეფიციარის გარდაცვალებისას – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს (შემდგომში – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო) მიერ წარმოებულ ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში არსებული ინფორმაცია;

გ) 2016 წლის 1 იანვრიდან დაბადებული ბავშვის/ბავშვების შემთხვევაში, ერთ-ერთი მშობლის მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის შეჩერება/შეწყვეტისას – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ წარმოებულ ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში არსებული ინფორმაცია;

დ) ამ წესის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის შემთხვევაში, ბენეფიციარის 2 წლის ასაკის შესრულების თვის მომდევნო თვიდან – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ წარმოებულ ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში არსებული ინფორმაცია;

ე) ამ წესის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის შემთხვევაში – თუ ბენეფიციარი პირველი ან მეორე შვილია, 1 წლის ასაკის (12 თვე) შესრულების თვის მომდევნო თვიდან, ხოლო თუ ბენეფიციარი მე-3 ან მომდევნო შვილია – 2 წლის (24 თვე) ასაკის შესრულების თვის მომდევნო თვიდან თვის დასრულებისას – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ წარმოებულ ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში არსებული ინფორმაციით;

ვ) ბენეფიციარის ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილის მისამართის შეცვლისას, რომელიც ვერ აკმაყოფილებს დანიშნის ადგილის პირობებს – განცხადება ან უფლებამოსილი პირის ინფორმაცია;

ვ¹) ამ წესის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში თუ ბენეფიციარი იმყოფება „სპეციალიზებულ დაწესებულებაში პირის მოთავსებისა და ამ დაწესებულებიდან მისი გაყვანის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2010 წლის 26 თებერვლის №52/ნ ბრძანებით განსაზღვრულ სპეციალიზებულ დაწესებულებაში;

ზ) სხვა საფუძვლით, თუ ის გამომდინარეობს ამ წესიდან.

2. იმ შემთხვევაში, თუ უფლებამოსილი პირის მიერ, ზედიზედ ორი თვის განმავლობაში, ოჯახის ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილის დადგენილი წესით გადამოწმებისას, არ დასტურდება ბენეფიციარის მიმართ დახმარებაზე უფლების განმსაზღვრელი, მათ შორის, ამ წესის მე-5 მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი გარემოებები, დახმარება შეწყდება შეჩერების დღიდან, მიუხედავად ოჯახის ბოლო გადამოწმების შემდეგ წარმოშობილი/გაცხადებული გარემოებებისა.

2¹. ამ მუხლის მე-2 პუნქტის მოქმედება არ ვრცელდება ამ წესის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“



ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, თუ ბენეფიციარი/კანონიერი წარმომადგენელი ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, იმყოფება სამედიცინო დაწესებულებაში და აღნიშნული ფაქტი დადასტურებული იქნება შესაბამისი სამედიცინო დოკუმენტაციით, ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობით (სამედიცინო დოკუმენტაცია ფორმა NIV-100/ა).

3. შეწყვეტის შემდეგ დახმარების ახლიდან დანიშვნა განხორციელდება საერთო წესით, ამ წესის მე-7 მუხლის შესაბამისად.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2016 წლის 8 თებერვლის ბრძანება №01-6/ნ - ვებგვერდი, 09.02.2016წ.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2019 წლის 11 თებერვლის ბრძანება №01-12/ნ - ვებგვერდი, 12.02.2019წ.

მუხლი 12. ფულადი დახმარებიდან თანხის დაკავება

1. ფულადი დახმარებიდან შეიძლება განხორციელდეს თანხის დაკავება სააგენტოს ან სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე.

2. ზედმეტად დარიცხული ფულადი დახმარების დაბრუნება შესაძლებელია სააგენტოს გადაწყვეტილებით, დანიშნული ფულადი დახმარების არაუმეტეს 20%-სა, როდესაც ზედმეტი თანხის დარიცხვა გამოწვეულია ბენეფიციარის/მისი კანონიერი წარმომადგენლის მიერ არასწორი მონაცემების წარდგენით.

